საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის" ფარგლებში, კონკურსის მეშვეობით განსახორციელებელი, სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის საკონკურსო კომისიის სხდომის

ო ქ მ ი №3

2015 წლის 18 მარტი

ესწრებოდნენ:

სატენდერო კომისიის თავმჯდომარე: ვ. კვარაცხელია

კომისიის წევრები: ი. ბიბილაშვილი, გ. თალაკვაძე, ნ. ქინქლაძე, გ. კაკუშაძე, ი. ქიტიაშვილი, ი. აბრამიშვილი.

კონსულტანტები სათათბირო ხმის უფლებით: ტ. ჭანტურიძე, კ. ოჩიგავა.

კომისიის აპარატის წევრი: ზ. ფესვიანიძე

შენიშვნა:

- სხდომაზე დამსწრე საკონკურსო კომისიისა და კომისიის აპარატის წევრებმა ხელწერილით დაადასტურეს ტენდერში მონაწილე პრეტენდენტების მიმართ ინტერესთა კონფლიქტის არარსებობა.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, კონკურსის მეშვეობით განსახორციელებელი, სსიპ - „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებელი კონკურსის (N1488) ფარგლებში, კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის განხილვა, შერჩევა–შეფასება;

განიხილვა: კომისიის წევრებმა განიხილეს საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის“ ფარგლებში, ქ. თბილისში, კახეთის გზატკეცილი, ალექსეევკის N3, სამხედრო დასახლებაში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი N 01.19.25.001.021) სსიპ – „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების შესყიდვის მიზნით გამოცხადებელი კონკურსის (N1488) ფარგლებში, კონკურსანტების: შპს „სტუდია 4“–ის და შპს „არკო 04“–ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

კონკურსანტების მიერ შემოთავაზებული საკონკურსო წინადადებების განხილვისას აღინიშნა, რომ შპს „სტუდია 4“–ის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია სრულად შეესაბამება საკონკურსო დოკუმენტაციით მოთხოვნილ პირობებს, ხოლო შპს „არკო 04“–ის მიერ წარმოდგენილი დოკუმეტაცია წარმოდგენილია გარკვეული ხარვეზებით, კერძოდ: 1. კონკურსის პირობების პირველ ეტაპზე მოსაწოდებელი პროექტის შედეგენისას გასათვალისწინებელი იყო (დამატებით გასათვალისწინებელი აუცილებელი პირობების მე–5 პუნქტი) ადმინისტრაციული შენობიდან ლუგარის ლაბორატორიამდე, საკონტროლო–გამშვებ პუნქტამდე, მსუბუქი კონსტრუქციის, ქარისა და წვიმისგან დამცავი მისასვლელი, ლუგარის ლაბორატორიის ირგვლივ არსებული ღობის გასწვრივ, რაც პროექტში არ არის ასახული; 2. ორგანიზაციის მიერ არ იქნა წარმოდგენილი ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ.

კომისიის წევრმა ი. ქიტიაშვილმა საკონკურსო კომისიას მიაწოდა ინფორმაცია სამინისტროსა და შპს „სტუდია 4“–ს შორის წინამდებარე 2014 წლის 11 ივლისს N3/3504/46 საინჟინრო–საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით გაფორმებული ხელშეკრულების შეწყვეტის შედეგად შპს „სტუდია 4“–ის მიმართ დაკისრებული პირგასამტეხლოს 7878 (შვიდი ათას რვაასსამოცდათვრამეტი) ლარის გადაუხდელობის შესახებ, რის საფუძველზეც სამინისტრო გეგმავს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიმართოს სასამართლოს. ამასთანავე, შპს „სტუდია 4“–ს აღნიშნული ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის დარღვევის გამო სსიპ „სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს“ თავმჯდომარის 2015 წლის 12 იანვრის N11 განკარგულებით მიეცა გაფრთხილება.

საკონკურსო კომისიამ იმსჯელა შპს „არკოს 04“–ის მიერ ხარვეზებით წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ ზემოხსენებული ხარვეზები არ არის არსებითი რაც ექვემდებარება შემდგომ დაზუსტებას.

კონკურსანტების მიერ წარმოდგენილი საკონკურსო წინადადებების შერჩევა–შეფასება განხორციელდა საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების და მათი პრიორიტეტულობის შესაბამისად:

1. **წარმოდგენილი ნამუშევრის ვიზუალურ–ფუნქციონალური მხარე და ლუგარის ლაბორატორიასთან კომპოზიციური შესაბამისობა:**
   - კომისიის წევრებმა ერთხმად მიანიჭეს უპირატესობა შპს „სტუდია 4“–ის მიერ წარმოდგენილი პროექტის ვიზუალურ–ფუნქციონალურ გადაწყვეტას და ლუგარის ლაბორატორიასთან კომპოზიციურ შესაბამისობას.

2. **საბოლოო პროექტის მისაღებად საჭირო ვადები:**
   - შპს „სტუდია 4“–ის მიერ საკონკურსო წინადადებაში საბოლოო პროექტის და ხარჯთარიცხვის მიწოდების ვადა მითითებულია მხარეთა შორის **ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 სამუშაო დღე;**

- შპს „არკო 04“–ის მიერ საკონკურსო წინადადებაში საბოლოო პროექტის და ხარჯთარიცხვის მიწოდების ვადა მითითებულია მხარეთა შორის **ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 თვე;**

3. **კონკურსანტის გამოცდილება:**
   - შპს „სტუდია 4“–ს წამოდგენილი ინფორმაციის თანახმად განხორციელებული აქვს **238393 ლარის ღირებულების მომსახურება;**
   - შპს „არკო 04“–ს წამოდგენილი ინფორმაციის თანახმად განხორციელებული აქვს **210000 ლარის ღირებულების მომსახურება;**

4. **საკონკურსო წინადადების ფასი:**
   - შპს „არკო 04“–ის მიერ შემოთავაზებული ფასი შეადგენს **90000 (ოთხმოცაათი ათასი) ლარს;**
   - შპს „სტუდია“–ის მიერ შემოთავაზებული ფასი შეადგენს **101000 (ასერთი ათასი) ლარს;**

საკონკურსო კომისიამ დაადგინა:
საკონკურსო დოკუმენტაციით განსაზღვრული კრიტერიუმების და მათი პრიორიტეტულობის საფუძველზე საკონკურსო კომისიის მიერ კონკურსანტების წარმოდგენილი წინადადებების შერჩევა–შეფასების შედეგად, 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებელი კონკურსის (N1488) ფარგლებში გამარჯვებულად გამოვლინდა **შპს „სტუდია 4“.**

დაევალოს საკონკურსო კომისიის აპარატს:
- დადგენილი წესით დაუყოვნებლივ აცნობოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შპს „სტუდია 4“–ს და შესყიდვის პროცედურის შესაბამისი დოკუმენტაცია განთავსდეს სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (www.procurement.gov.ge);
- მოამზადოს სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება შპს „სტუდია 4“–თან.

კომისიის თავმჯდომარე

ვ. კვარაცხელია

კომისიის წევრები:

გ. თალაკვაძე

ი. ბიბილაშვილი

ნ. ქინქლაძე

გ. კაკუშაძე

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

კონსულტანტები:

ტ. ჭანტურიძე

კ. ოჩიგავა

კომისიის აპარატის წევრი:

ზ. ფესვიანიძე

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„18“ „03“ 2015 წ. თბილისი

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის“ 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, საინჟინრო–საპროექტო მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის N1488 მეშვეობით, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 6 მარტის №01-57/ო ბრძანებით შექმნილი საკონკურსო კომისიისა და საკონკურსო კომისიის აპარატის წევრები, ვადასტურებთ, რომ სახელმწიფო შესყიდვაში მონაწილე კონკურსანტების: შპს „არკო 04“–ის და შპს "სტუდია 4"–ის მიმართ, სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესებს.

კომისიის თავმჯდომარე

ვ. კვარაცხელია

კომისიის წევრები:

გ. თალაკვაძე

ი. ბიბილაშვილი

ნ. ქინქლაძე

გ. კაკუშაძე

ი. აბრამიშვილი

კონსულტანტი:

ა. ჭანტურიძე

კ. ოჩიგავა

აპარატის წევრები:

ნ. ბერუაშვილი

ზ. ფესვიანიძე

საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვა

კონკურსანტის დასახელება: შპს „არკო 04“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის (უნიკალური N1488) ფარგლებში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

N	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	წარმოდგენილი დოკუმენტაცია	შენიშვნა
1	კონკურსში მომაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	√	×
2	საკონკურსო წინადადება გასაწევი მომსახურების ფასის მითითებით	√	ინფორმაცია რეკვიზიტების, მომსახურების ფასის და მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ წარმოდგენილია ერთ დოკუმენტში
3	ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1–ის შესაბამისად	√	წარმოდგენილია დანართი N1–ით მოთხოვნილი ინფორმაციის წერილობითი განმარტება
4	კონკურსანტის რეკვიზიტები საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N2–ის შესაბამისად	√	ინფორმაცია რეკვიზიტების, მომსახურების ფასის და მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ წარმოდგენილია ერთ დოკუმენტში
5	ინფორმაცია მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ	√	ინფორმაცია რეკვიზიტების, მომსახურების ფასის და მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ წარმოდგენილია ერთ დოკუმენტში
6	ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ	×	წარმოდგენილი არ არის
7	განმარტებითი ბარათი (მოსაზრება არქიტექტურულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე)	√	×
8	სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000		×
9	გენგემა – მ. 1:500	√	×
10	სართულების გენგმა – მ. 1:200	√	×
11	ჭრილი – მ. 1:200	√	×
12	ფასადები – მ. 1:200	√	×
13	ვიზუალიზაცია (რენდერები)	√	×
14	ფოტომონტაჟი	√	×
15	A-3 ფორმატის ალბომი (3 ეგზემპლარი) თანდაერთული ელექტრონული ვერსია CD დისკზე (PDF ფორმატში)	√	×

კონკურსანტი: შპს „არკო 04“

კონკურსანტის წარმომადგენელი (სახელი/გვარი/ხელმოწერა): დირექტორი, იოსებ ტვილდიანი

კომისიის აპარატის წევრი: ზ. ფესვიანიძე

თარიღი: 10.03.15

საინჟინრო–საპროექტო მომსახურების შესყიდვა

კონკურსანტის დასახელება: შპს „სტუდია 4“

სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ ადმინისტრაციული და სასაწყობე შენობების მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო მომსახურების შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებული კონკურსის (უნიკალური N1488) ფარგლებში კონკურსანტის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია.

N	წარმოსადგენი დოკუმენტაცია	წარმოდგენილი დოკუმენტაცია	შენიშვნა
1	კონკურსში მომაწილეობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი	√	×
2	საკონკურსო წინადადება გასაწევი მომსახურების ფასის მითითებით	√	×
3	ინფორმაცია ანალოგიური მომსახურების შესახებ საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N1–ის შესაბამისად	√	×
4	კონკურსანტის რეკვიზიტები საკონკურსო დოკუმენტაციის დანართი N2–ის შესაბამისად	√	×
5	ინფორმაცია მომსახურების მიწოდების (მეორე ეტაპი) ვადის შესახებ	10 სამუშაო დღე	×
6	ინფორმაცია ანგარიშსწორების პირობების შესახებ	√	×
7	განმარტებითი ბარათი (მოსაზრება არქიტექტურულ და კონსტრუქციულ გადაწყვეტაზე)	√	×
8	სიტუაციური გეგმა – მ. 1:2000	√	×
9	გენგემა – მ. 1:500	√	×
10	სართულების გენგმა – მ. 1:200	√	×
11	ჭრილი – მ. 1:200	√	×
12	ფასადები – მ. 1:200	√	×
13	ვიზუალიზაცია (რენდერები)	√	×
14	ფოტომონტაჟი	√	×
15	A-3 ფორმატის ალბომი (3 ეგზემპლარი) თანდაერთული ელექტრონული ვერსია CD დისკზე (PDF ფორმატში)	√	×

კონკურსანტი: შპს „სტუდია 4“

კონკურსანტის წარმომადგენელი (სახელი/გვარი/ხელმოწერა): დირექტორი, ალექსი დონაძე

კომისიის აპარატის წევრი: ზ. ფესვიანიძე

თარიღი: 10.03.15

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა
და სოციალური დაცვის სამინისტრო
MINISTRY OF LABOUR, HEALTH AND SOCIAL
AFFAIRS OF GEORGIA

KA030186785185415

საქართველო, თბილისი 0159; აკ.წერეთლის გამზ. 144; ტელ.: (+995 32) 251 00 11; ფაქსი:(+995 32) 251 00 19; ცხელი ხაზი:(+995 32) 251 00 33; 251 15 05;
ელ.ფოსტა: info@moh.gov.ge

144 Ak.Tsereteli ave., 0159, Tbilisi, Georgia; Tel.: (+995 32) 251 00 11; Fax:(+995 32) 251 00 19;Hot line:(+995 32) 251 00 33; 251 15 05; E-mail: info@moh.gov.ge

№ 01/19154 **18 / მარტი / 2015 წ.**

შპს „სტუდია 4"–ის დირექტორს
ბატონ ალექსი დონაძეს

ქ. თბილისი, ალ. ყაზბეგის გამზ. 2ა
მობ.:599157390

ბატონო ალექსი,

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ „სამედიცინო დაწესებულებათა რეაბილიტაციისა და აღჭურვის" 2015 წლის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, სსიპ „ლ. საყვარელიძის სახელობის დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის" ადმინისტრაციული შენობის მშენებლობის პროექტის/საპროექტო სამუშაოების სახელმწიფო შესყიდვის მიზნით 2015 წლის 24 თებერვალს გამოცხადებელ კონკურსთან (N1488) დაკავშირებით გაცნობებთ, რომ საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე თქვენი ორგანიზაცია მიჩნეულია გამარჯვებულად.

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება გაფორმდება არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა.

წერილის ატვირთვა განხორციელდება ერთიან ელექტრონულ სისტემაში (http://contest.procurement.gov.ge).

პატივისცემით,

მინისტრის მოადგილე გაიოზ თალაკვაძე